# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.—ოთხშაბათი, 16 თებერვალი 1900 წ. № 1046.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გზნოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

## ქართული თეატრი

**ოთხშაბათს, 16 თებერვალს,**

ბენეფისი

**ა. მ. კარგარელისა**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება პირველად

ახალი პიესა

## ებრაელი ქალი

დრამა 5 მოქმედ.

მოთამაშენი: ქქ. კარგარეთელი, ნებიერიძე; ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ქელიძე და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე.**

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

შაბათს, 19 თებერვალს, ბენეფისი ვ. აბაშიძის და კ. მესხის, ეფემია მესხის მონაწილეობით

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. რონინაშვილის მიერ ნაანდერძევს **ფოტოგრაფიაში საჭიროა ხაზინადარი-ქალი.** მსურველთ ამ ადგილის მიღებისა შეუძლიანთ მიჰმართონ თხოვნით ხსენებულ საზოგადოების კანცელარიას. ნ. 6—6

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. რონინაშვილის მიერ ნაანდერძევი

**ფოტოგრაფია**

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ 0—10)

## „მოამბისა“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან.

სხვა და სხვა საპატიო და რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო დაგვიანდა ჟურნალი «მოამბის» პირველი წიგნის გამოცემა. დაუგვიანდება აგრეთვე თებერვლის წიგნსაც; მაგრამ შემდეგში რედაქცია ეცდება დროზედ მიაწოდოს მკითხველთ ჟურნალის ნომრები.

### მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის საგუბერნიო მმართველობის კანცელარიის მოხელე გრ. თუშმელაშვილი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან თავისივე თხოვნის თანახმად.

აზნაური გიორგი ყანჩელი დაინიშნა ტფილისის საგუბერნიო მმართველობის კანცელარიის მოხელედ.

კოლეჟ. სეკრეტარი ბარნოვი დაინიშნა ბორჩალოს მაზრის ეკატერინენფელდის ნაწილის ბოქაულად.

## ახალი ამბავი

✦ სათანადო მთავრობას ნება დაურთავს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე მიიღონ **სასულიერო სემინარიებში კურს-დამთავრებულნი**

✦ ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველთ, რომ სასულიერო მთავრობას განუზრახავს დააარსოს საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლებთან **სამეურნეო განყოფილებანი.** ეს პროექტი, გაზ. „კავკაზ“-ის სიტყვით, კავკასიის უმაღლესს მმართველობას მოსწონებია, მაგრამ გამოუცხადებია, რომ საჭირო ხარჯს ადგილობრივ საერობო თანხას ვერ დავაკისრებთო, რადგანაც მცხოვრებთ ისედაც დიდი საერობო გარდასახადი დააწვა თავს სასოფლო სადარაჯოს შესანახად. ამიტომ სასულიერო მთავრობა ამ ჟამად ზრუნავს გამოსძებნოს სხვა რამ საშუალება განზრახულის პროექტის აღსასრულებლად.

✦ უწმ. სინოდის განკარგულებით, თავ. ივანე (თარხან) დადიშქელიანი დაინიშნა **საპატიო მზრუნველად** სვანეთის საეკკლესიო-სამრევლო სკოლებისა, რომელნიც ეკუთვნიან კავკასიაში მართლ-მადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოებას.

✦ ტფილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწედ დაინიშნა კავკაეის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწე ბ-ნი **ბუტენკო.**

✦ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას გარდაუწყვეტია შემოიღოს **ქუთაისში ტელეფონები.** გამოანგარიშებულია, რომ ეს საქმე დაჯდება 28 ათას მანათად. ხარჯისა და შემოსავლის აღრიცხვა ამ ჟამად მზადდება და უნდა წარედგინოს სადაც ჯერ არს 1-ლ მარტამდე.

✦ დაბა ხონიდან გვატყობინებენ, რომ იქ რამდენიმე ვაჭარს განუზრახავს დააარსონ **სააღებ-მიცემო ამხანაგობა.** ჯერ-ჯერობით ამხანაგობა აპირობს პარკის ყიდვას და აბრეშუმის ამოსახვევ ქარხნების გამართვას; როგორც ამბობენ, ამხანაგობაში მიიღებენ მონაწილეობას ყველა შეძლებული ვაჭრები.

✦ ორშაბათს, 14 თებერვალს, გაიგზავნა პარიზის გამოფენაზე **უკანასკნელი ექსპონატები** ამიერ კავკასიიდან. ტფილისისა და ქუთაის გუბერნიების მემამულების ექსპონატთა შორის დიდს ყურადღებას იქცევს იმერული შალების კოლლეკცია.

✦ როგორც გვაუწყებენ, ეკ. ა. თარხან-მოურავის ასულს გაუგზავნია პარიზის გამოფენაზე მშვენიერი სხვა-და-სხვა **მკედლებური ქსოვილები** აბრეშუმისა და მატყლისაგან. განსაკუთრებით საინტერესოა უბრალო ტილოზე აბრეშუმის ძაფით ნაქარგი ისტორიული სურათები.

✦ განზრახულია დააარსონ ტფილისში განსაკუთრებული კურსები **ხაზვა-ხატვის** სწავლებისათვის.

✦ როგორც ისმის, ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს იშუამდგომლოს რუსეთის მთავრობის წინაშე—ტფილისში და ბაქოში **ინგლისის საკონსულოების** დაარსების შესახებ.

✦ ჩვენ გვწერენ, რომ ალაგირის (თერგის ოლქი) ქართული სკოლის მასწავლებელს ბ-ნ პავლე ლომთათიძეს განზრახვა აქვს დააარსოს იმავე სკოლასთან **სამკითხველო და ბიბლიოთეკა**. ამის შესახებ მას უკვე აღუძრავს სადაც ჯერ არს შუამდგომლობა.

✦ ბოლოს დროს გახშირდა ქალაქის განაპირა ადგილებში **ქურდობა**, რადგან იმ ადგილებში პოლიციის მოხელენი ნაკლებადაც არიან და უყურადღებოდაც ეპყრობიან საქმეს. ავჭალის ქუჩის ბოლოში, ფურცელაძის სახლებში, 13 თებერვალს ქურდებმა გატეხეს კლიტე ბალხამაშვილის სადგურისა და გაიტანეს 2 ფუთი ყველი, 2 ქვაბი და სხვა ნივთები.

✦ გუშინ-წინ, სადილ შემდეგ, მსროლელთა ჯარის კაზარმების უკან გაუსეირნიათ სამს ახალგაზრდა ქალს, რომელთაც თან ახლდათ ოთხი ყმაწვილი კაცი. მინდორზე დასცემიან ოთხი ყარაჩოღელი ბიჭი; ყმაწვილ კაცებისათვის ძალიან უცემიათ და ქალები გაუუპატიურებიათ. ტფილისის გუბერნატორს სასტიკი განკარგულება მიუცია შეეპყრათ დამნაშავენი. სამი უკვე შეიპყრო პოლიციამ, ხოლო მეოთხე, სახელით კოტე (გვარი არ იციან), გაქცეულა სოფელში. დამნაშავენი აღმოჩენილან—ოქროპირიძე, სანდრო მარიაძე და სანდრო ჭრელაშვილი, რომელნიც დაპატიმრებულ იქმნენ სატუსაღოში. საქმე გარდაეცა გამომძიებელს.

✦ ტფილისის სასტუმროები და გასაქირავებელი ნომრები თითქმის ყველა შექმნილა გარყვნილებისა და სასალახანო ბუდეთ. აქამდე ყურადღებას არ აქცევდა პოლიცია ამ ყოვლად გამხრწნელს გარემოებას. ეხლა პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს თ. სიღომონოვ-ერისთავს, მიუქცევია რა ამისათვის ყურადღება, წინადადება მისცა ყველა პოლიციის ნაწილის ბოქაულთ ფხიზლად გექირონთ თვალ-ყური სასტუმროებზე და მოსასპობლად უწესოებისა და გარყვნილობისა პასუხის-გებაში მიეცით სასტუმროების პატრონნებიო. ამგვარი სასტუმროები არამც თუ ქალაქის განაპირა ადგილებშია, არამედ შიგ შუაგულ ქალაქშიაც.

✦ ტფილისის გუბერნატორს, თანხმად მე-16 გრენადერთა დივიზიის სასანიტარო სამკურნალო კომისიის დადგინებისა, რომლიდანაც სჩანს, რომ ამ კომისიას ავლაბარი და უფრო ამ დივიზიის კაზარმებთან ახლო მყოფი ადგილები **უსუფთაოდ უცვნია**,—წინადადება მიუცია ქალაქის თავისათვის დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნას ზომები იმ ადგილთა გასასუფთავებლად.

✦ ქუთაისიდან გვწერენ, რომ კვირას, 13 თებერვალს, იქაურს თეატრში გამართა ქართული **წარმოდგენა არტისტ-ქალის ქ-ნ ჩხეიძის სასარგებლოდ**. წარმოდგენილი იქმნა «ურიელ აკოსტა», ცნობილი დრამა გუცკოვისა, რომელშიც მთავარ როლს ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილი თამაშობდა ჩვეულებრივის ხელოვნებით. მოყვანეფეისამ კარგა აღასრულა იუდითის როლი. საზოგადოებამ ბევრი საჩუქარი მიართვა მას და ოვაციებით გააცილა სახლამდე.

✦ **გამოვიდა ჟურნალი „მოამბე“ და ხვალ დაურიგდება ხელის მომწერლებს შემდეგის შინაარსით:** 1) «ქამუშაძის გაჭირვება».—I—IV.—მოთხრობა დავით კლდიაშვილისა.—2) «საახალწლო ფიქრი».—ლექსი ვ. რუხაძისა.—3) «უცნაურია, უცნაური!...» I—III. ფსიხოლოგიური ეტიუდი შ. არაგვისპირელისა.—4) «ჩემი აღსარება».—ლექსი ვ. რუხაძისა.—5) «კრიზანა».—რომანი იტალიის ცხოვრებიდან ჟ. ჯოანნიზისა, ნაწილი მესამე.—I—II. თარგმანი ნატალია რ. გიგაურისა (გაგრძელება).—6) «დამონებულნი».—რომანი ბულგართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზოვისა, ნაწილი მეორე.—XX—XXV. თარგმანი თ. ს.—სი (გაგრძელება.—7) «ქართული თეატრი და ლიტერატურა».—50 წლის იუბილეის გამო.—I—II. პ. უმიკაშვილისა.—8) «მეფე ელეკლეს დროის არზა».—9) «პასუხის პასუხი.»—(დავით ბაქრაძეს და აგაგის). I—II. სილოვანისა.—10) «ჩარლზ პარნელი».—გგ. ტარლესი.—X—XI. თარგმანი (დასასრული).—11) † «გიორგი წერეთელი».—ნეკროლოგი. ქრონიკა:—12) «შინაური მიმოხილვა.—ლალისა.—13) «უცხოეთის მიმოხილვა.—ბრძოლა სამხრეთ-აფრიკაში.—ლალისა.

---

## ტფილისის საბჭო

14 თებერვალი

კრების დაწყებისათანავე ხმოსნებმა სხვა-და-სხვა კითხვებით მიჰმართეს ქალაქის მოურავს. სხვათა შორის, ხმ. ა. ს. ბაზოვმა აღძრა კითხვა ახალი აბანოების გასინჯვის შესახებ, თუ რამდენად სუფთა წყალია იქ და სხვა. აღმოჩნდა, რომ აბანოები, ვიდრე გახსნიდნენ (ჩუღურეთში), საგუბერნიო გამგეობის განკარგულების თანახმად, უკვე გაუსინჯავს ცალკე კომისიას.

ხმოსანმა ონანოვმა დაუმატა, რომ საჭიროა სავალდებულო განკარგულებაში იქმნას შეტანილი მუხლები შესახებ სადალაქოებისა.

ხმ. ქოჩორიანცმა ამის საპასუხოდ სთქა, რომ ცარიელ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა არა კმარა საქმის გასაკეთებლად. საჭიროა, რომ ქალაქის მმართველობას მოსამსახურენი თვალ-ყურს იჭერდნენ, საქმეს აკეთებდნენ და მხოლოდ ქაღალდზე არ ითვლებოდნენ მოსამსახურებად.

გამგეობის წევრმა უპასუხა, რომ ეგ ტყუილია, ვითომ მოსამსახურენი არ მუშაობდნენ, ან ყურს არ უგდებდნენ საქმეს. აქ ცარიელი ლაპარაკი კი არ უნდა, გაისარჯეთ და მობძანდით გამგეობის კანცელარიაში და იქ ნახავთ, რომ 800-ზე მეტი ოქმია შედგენილი სხვა-და-სხვა დანაშაულობისათვის.

ბ. თაიროვმა მიაქცია გამგეობის ყურადღება ქუჩების უვარგისობას. შემდეგ გამგეობის წევრმა არღუთინსკიმ წაიკითხა მოხსენება შესახებ შენობის აგებისა ტფილისის საყასბოებთან მეხაშეთათვის. ეს მოხსენება გამოიწვია გუბერნატორის განკარგულებამ, რომლითაც იგი სთხოვდა ქალაქის გამგეობას ახალ შენობის გაკეთებას, რადგან ახლანდელი ქოხები წარმოადგენს უსუფთაობის ბუდეს. ამ მოხსენებიდანა სჩანს, რომ შენობა 5000 მ. დაჯდება. ზოგიერთმა ხმოსნებმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ რაკი ქალაქი ახალ საყასბოების გაკეთებას აპირებს, ახლა საჭირო არ არის მაგდენი ფულის დახარჯვაო. ზოგმა სთქვა,—მეხაშეებმა გააკეთონ თითონ თავიანთ ხარჯით და სხვ.; ხმოსანმა ონანოვმა იკითხა, რამდენი ხანი გაივლის ახალ საყასბოების გაკეთებამდეო და მიიღო რა პასუხი, ოთხიო,—განაგრძო: „მაშ როგორ შეიძლება მანამდე ცდა და იმ ქოხების შენახვაო!“

საბჭომ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა ააშენოს შენობა მეხაშეთა ქარხნებისათვის.

შემდეგ ქალაქის გამგეობამ წაუკითხა საბჭოს მოხსენება სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსი ზედამხედველის ალ. ჯაბადარისა შესახებ ხორცზე ნიხრის შეცვლისა, რომლის შინაარსიდან სჩანს, რომ თუმცა ფასის გასაგებად დაკლული საქონელი დაჯდა ათნახევარი კაპ., მაგრამ ზოგიერთი მოსაზრებისა გამო შეიძლება ხორცს 1 კ. დააკლდეს გირვანქაზე, რადგან, იმედია, საქონელს მალე მორეკავენ და საკლავი უნდა გაიაფდესო.

ხმ. ვესელოვზოროვმა სთქვა: რაკი მოხსენებიდან სჩანს, რომ შეიძლება ფასის დაკლება, რაღა საჭიროა მოცდა, დავაკლოთო. ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა, რომ ორი-სამი დღის შემდეგ ხელმეორედ დაიკლას საქონელი ფასების გასაგებად და ახალი ნიხრი გაეგზავნოს გუბერნატორს დასამტკიცებლად. ეს წინადადება მიღებულ [იქმნა] საბჭოსაგან. გასინჯულ იქმნა რამდენიმე წვრილი საქმეები, რომლის შემდეგ ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ სატყეო კომისიის თავმჯდომარემ ნ. ხუდადოვმა უარი განაცხადა ამ თანამდებობაში დარჩენაზე, ამისათვის ახალი თავმჯდომარე ამოირჩიეთო.

ქოჩორიანცმა შენიშნა, რომ ვიდრე ვისმეს ამოვირჩევდეთ, უნდა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია საქალაქო ტყე. მე არ ვიყავ ტყის გაშენების წინააღმდეგი, მაგრამ მას შემდეგ შვიდი წელიწადია და გაკეთებული კი ბევრი არა არის რა.

ხმოსანმა ა. ს. ბაზოვმა უპასუხა, რომ ძალიან ადვილია ძაგება რისამე, მაგრამ ამას საფუძველი უნდა და არა ცარიელი ლაპარაკი. ბ-ნ ქოჩორიანცს რომ კარგად დაეთვალიერებინა, დაინახავდა, რომ მშვენიერი ტყეა გაშენებული და მალეც გაიზრდა. მე თვითონ რამდენჯერმე მყვანდნენ აქ შეგირდები და სწორედ სასიამოვნო შთაბეჭდილება გამოვიტანე. ექიმი ნ. ხუდადოვი დიდის მადლობის ღირსია, რომ თავი დასდო და ისე გულ-მოდგინედ უგდებდა ყურს და შრომობდაო.

ხმ. ლისიციანმა და დოლუხანოვმაც აღნიშნეს, რომ ტყეც მალე გაშენდა და დიდ სარგებლობასაც მოიტანს. ამის შემდეგ არჩეულ იქმნენ სატყეო კომისიაში ნ. ხუდადოვი, როტინოვი და ქალანთარი.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

14 თებერვალი

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ პაარდებერგიდან: „ინგლისელებმა ცეცხლი წაუკიდეს ბურების ბანაკს, ამიტომ ბურები იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ საფრებისათვის და უკან დაეწიათ. ამ ჟამად მათ უჭირავთ ახალი ბანაკი მდ. მოდდერის კალაპოტშივე; ბანაკი სიგრძით ორი მილია, სიგა-

ნით 150 ფუტი დასიმაღ. 50 ფუტი. მდინარის კალაპოტი კარგ პოზიციას წარმოადგენს. კრონიეს საკმაო სურსათი აქვს და არ ჰყრის იარაღს, თუმცა თავის დახწევა აღარ ძალუძს“.

კოლენზოდან „ტაიმს“-ს ატყობინებენ: „ჩვენ მოგველის ცხარე ბრძოლაო“.

იმავე გაზეთს ლორენცო-მარკეზედან ატყობინებენ, რომ იქ მოსულის ცნობებით პრეტორიის მმართველობის წრეებში დიდი აღელვება ჰსუფევს. სამშაბათს გენ. ბოტამ დეპეშით შეატყობინა კოლენზოდან მთავრობას, რომ მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს და ამიტომ ურჩევს კრიუგერს ეცადოს მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის. შემდეგ იწერებიან, რომ ბლიუმფონტენში დარწმუნებულნი არიან, რომ კრონიე უნდა დანებდეს მტერსაო. შტეინმა გაუგზავნა კრიუგერს დეპეშა, რომლითაც აუწყებს, რომ ორანჟეს რესპუბლიკის ბურებს აღარ ჰსურთ ბრძოლაო და რომ მან გაგზავნა ბრძოლის ველზე ყველა მამაკაცი, ვისაც კი შეუძლია იარაღის ხმარება, განურჩევლად ეროვნებისა; ეს, მისის აზრით, მიასწავებს რესპუბლიკის მხედრობის სრულს განადგურებას, და ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ იქმნას ჩამოგდებული მშვიდობიანობაო. იმ ბურების შორის, რომელნიც მეფეკინგს არტყიან გარს, როგორც ისმის, უკმაყოფილება დაიბადაო. ისინი ამბობენ, უმჯობესი იქმნებოდა ჩვენი მიწა-წყალი დაგვეფარაო; ირწმუნებიან, რომ მათ ჰსურთ დაჰყარონ იარაღი და დაბრუნდნენ სამშობლოში.

**კიმბერლეი,** 12 თებერვალი. როდსმა, რომლის თაკმჯდომარეობით მოხდა გუშინ დებარის ამხანაგობის წევრთა კრება, გამოაცხადა, რომ ამხანაგობის მოგება თითქმის 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრისო და რომ საქმე კარგად მიდისო.

**კაპშტადტი,** 13 თებერვალი. 50 აფიცერი და ჯარის-კაცი გაიგზავნა ვეშაპის ნავთ-სადგურში, სადაც, როგორც ხმა არის, მოუტანიათ გემით სამხედრო სურსათი ბურებისათვის.

**სტექსპრიტი,** 13 თებერვალი. ლედი-სმიტიდან იტყობინებიან, რომ ინგლისელებს ამ ჟამად უჭირავთ ბერკლინსტი. ბურებმა, რომლებიც იქ იყვნენ, დაიწიეს ლედი-გრეისაკენ. ლანდროსტი დეპეშით აუწყებს შტეინს, საჭიროა მომშველი ჯარები გამომიგზავნოთ, თორემ იძულებული შევიქმნები იარაღი დავყაროვო.

**მოდდერ-რივერი,** 13 თებერვალი. ინგლისის ორმა რაზმმა უკუ აგდო იერიშით მოსული ბურები, რომლებიც ძალიან დაზარალდნენ.

**ვენა.** საერთო გარდაწყვეტილების ძალით, დღეს მთელს დედა-მიწის ზურგზე უნდა შეგროვილიყვნენ მშვიდობიანობის საზოგადოებანი; ამიტომ ვენაშიაც მოხდა ავსტრიელ საზოგადოების კრება, რომელმაც ერთხმად მიიღო ბერნის ცენტრალურ საზოგადოების რეზოლიუცია ავსტრიელ წარმომადგენელთა დამატებით; რეზოლიუციაში გამოცხადებულია მადლობა იმ ინგლისელებისადმი, რომელნიც, მიუხედავად მოსალოდნელის დევნისა, ჯერ სცდილობდნენ ომის აშორებას და ეხლა კი სცდილობენ ომის დაბოლოვებისათვის.

15 თებერვალი

**ლონდონი.** ბულლერი იტყობინება, რომ 8 დან 12 თებერვლამდე მან დაჰკარგა 7 ოფიცერი მოკლული, მათ შორის 3 პოლკოვნიკი და 34 ოფიცერი დაჭრილი; ერთი უგზო უკლოდ დაიკარგა.

**ვენა.** დეპუტატი ვოლფი ჰკითხულობს: „მართლა აღმოუჩინა ავსტრიის მთავრობამ დახმარება ინგლისს, ამ გაქნილს და მატყუარა ერს, მამაც ბურების წინააღმდეგ ჩადენილ ძალმომრეობაში და მათ ზარბაზნები და ცხენები გაუგზავნა?“ ვოლფი თხოულობს, რომ სამხედრო მინისტრმა შემდეგ კრებაზე ნამდვილად გამოაცხადოს, —დაარღვია თუ არა მთავრობამ ამ რიგად ნეიტრალიტეტი.

**ბელგრადი.** სარწმუნო წყაროებიდან მოსული ცნობები უარჰყოფენ ხმას, ვითომც სერბია სამხედრო სამზადისს შესდგომოდეს და სამხედრო სამსახურში მოეწოდოს სერბიელი სტუდენტებიო; ამ ცნობებიდან სჩანს, რომ სერბიას კარგი განწყობილება ჰქონია ბოლგარიასთან და ძნელი საფიქრებელია, რომ მათ შორის არსებობდეს რაიმე უსიამოვნება.

**ვარშავა.** პოლიციამ აღმოაჩინა მთელი ქარხანა, სადაც ვერცხლის ყალბ ფულსა სჭრიდნენ თურმე. ქარხანა ყოფილა ლოდზში. განყოფილება ჰქონია ვარშავაში.

**ლონდონი** პალატა. გოშენს შეაქვს საზღვაო ბიუჯეტი და აცხადებს, რომ ბიუჯეტში არაფერია ისეთი ღირს შესანიშნავი, რადგანაც საზღვაო მმართველობა საჭიროდ არა რაცხს მიღებულ იქმნას ახალი სამხედრო სამზადისი. ინგლისს ზღვაში არ ეშინიან არც ერთი სახელმწიფოსი. მხოლოდ ერთი ახალი ადმინისტრატიული ზომა იქმნა მიღებული: მარტის პირველ რიცხვებში სათადარიგო ესკადრა წავა პორტლანდში სროლასა და საომარ ტაქტიკაში სავარჯიშოდ.

გოშენი განაგრძობს, რომ ქვანახშირის გატანის აღკრძალვა საფრანგეთში და რუსეთში შეუძლებელია, ვიდრე მშვიდობიანობაა და ომი არ დაწყებულა. მთავრობა დიდის ყურადღებით ეპყრობა ქვანახშირის შეძენის და გემების სათადარიგო ეკიპაჟის მომატების კითხვებს. ახლა გემების ეკიპაჟი ქვემო მოყვანილ რიცხვზე ნაკლებია. მთავრობას ჰსურს ჰყავდეს სათადარიგო ეკიპაჟში 10—15 ათასამდე კაცი.

დასასრულ გოშენმა სთქვა: „როდესაც მოწვეულ იქმნა გააგის კონფერენცია, ინგლისის მთავრობამ აღნიშნა, რომ შეიძლება საჭირო აღარ იქმნეს ახალი სამხედრო გემების შეძენაო. შეიარაღების შემცირებაზე არავითარი დადგენილება არ ყოფილა. გააგის კონფერენციის შემდეგ არ გასულა ექვსი თვე, რომ სახელმწიფოებმა შესამჩნევად მოუმატეს სამხედრო ძალებს. ინგლისმა ახალი გემების შესაძენად გადასდო 8,460,000 გირ. სტერლინგი წელიწადში. რუსეთის საზღვაო ბიუჯეტი ეთანასწორება 4,300,000 და საფრანგეთის 4,154,000 გირ. სტერლინგს.“ გოშენი შემდეგ ამბობს საფრანგეთისა და გერმანიის ახალ სამხედრო პროგრამას შესახებ, რომლითაც გერმანიის ხარჯი სამხედრო საქმეებზე ეთანასწორება 70,000,000 გირვ. სტ..... სახელმწიფოთა ახალი პროგრამები არ უნდა აშინებდნენ ინგლისსა,—იგი უნდა ცდილობდეს მხოლოდ იმას, რომ შეირჩინოს საზღვაო საქმეებში უპირატესობა როგორც ევროპაში, ისე შეერთებულ შტატებში და იაპონიაში.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

## გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**ოთხშაბათი,** 16 თებერვალი; ახალი სტილით 28 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 319 დღე. მთვარის 1-ლი დღე. ხსენება წმ. პამფილესი, პავლესი, ღირსისა პორფირესი და ფლაბიანესი.

**ხუთშაბათი,** 17 თებერვალი; ახალი სტილით 1 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 318 დღე. მთვარის მე-2 დღე. ხსენება წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა და წმ. მარიანნასი.

შემდეგი უქმე—18 თებერვალს,—ყველიერი.

### ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —11 | გ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | გ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | გ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | გ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | გ. |
| » ღორის ზარგალი სალორეთი . | 1 | » | —10 | გ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | გ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | « | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჟჟ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | « |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზაღზე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შაშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შაშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10%

შავ-ნარევი — ადგილობრივი — 3 მ. 50 კ. — 4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში — 12 მ. თვ. ცალკე ოთახში — 60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშვილი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო — იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონეს ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი — ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. სად.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის სად. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. სად., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. სად.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი — ღამის 5 ს. 02 წ., მეორე — დღეს 12 ს. 40 წ., მესამე — საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის — პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე — 2 ს. 49 წ. დღ. და მესამე — 9 ს. 49 წ. სად.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი — ღამის 1 ს. 11 წ., მეორე — დილის 6 ს. 20 წ., მესამე — სად. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე — 8 ს. 42 წ. დილის, მესამე — ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი — დილის 9 ს. 42 წ. მეორე — საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე — საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის — პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე — ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე, — დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე — საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

**ტყიბულიდგან** ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

**ომნიბუსების** მიმოსვლა თბილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ.ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუისა საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ზალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.


გამომც. გ. გუნია.



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.